სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080113023497418

 # 328 **30 / იანვარი / 2018 წ.**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ააიპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 26 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ააიპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის“ SMP180000290 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2018 წლის 26 იანვარს შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის საჭირო სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტის (CPV03100000 - სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები; CPV03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული; CPV15100000 - ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები; CPV15300000 - ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები; CPV15400000 - ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები; CPV15500000 - რძის პროდუქტები; CPV15600000 - დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები; CPV15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი) გამარტივებული შესყიდვა, ჯამური ღირებულებით - 38374,03 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, 2018 წლის ბიუჯეტის მიღების გაჭიანურებითა და ორი მუნიციპალიტეტის - ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტების შეერთების პროცესით. ამ ეტაპისთვის, მოხერხდა 2018 წლის ბიუჯეტის მიღება, მაგრამ 2018 წლის 17 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულ იქნა შეტყობინება (წერილი № 608) ააიპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის“ რეორგანიზაცია/შერწყმის პროცესის დაწყების შესახებ. აღნიშნული პროცესი არ დასრულებულა. საბავშვო ბაღებში საკვები პროდუქტების მარაგი საკმარისი იქნება 2018 წლის 31

იანვრის ჩათვლით. დარჩენილ ვადაში არ ესწრებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაზე ნებართვის მიღება, მომწოდებლებთან ხელშეკრულებების დროულად გაფორმება და საბავშვო ბაღების მომარაგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკვები პროდუქტები შესყიდული იქნა შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდვის დაყოვნება გამოიწვევდა საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჩაშლას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, ვითარება გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, 2018 წლის ბიუჯეტის მიღების გაჭიანურებითა და ორი მუნიციპალიტეტის, ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტების შეერთების პროცესით. საგულისხმოა, რომ პარალელურად მიმდინარეობს ააიპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის“ რეორგანიზაცია/შერწყმის პროცესიც, ყოველივე ზემოხსენებული კი არ იძლევა საკვები პროდუქტის შესყიდვის მიზნით ტენდერების გამოცხადების შესაძლებლობას.. ვინაიდან, საბავშვო ბაღებს გააჩნია საკვები პროდუქტების მიმდინარე თვის ბოლომდე სამყოფი მარაგი, აუცილებელი გახდა სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვის შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდვის დაყოვნება შეაფერხებდა საბავშვო ბაღების დროულად მომარაგებას და გამოიწვევდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჩაშლას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ააიპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე